

ჯორჯიან მანგანუმი - კომპანიის პროფილი

ჭიათურის მანგანუმი

სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არსებული მანგანუმის საბადოები გამოირჩევა მაღლის მაღალი ხარისხით, დიდი სამრეწველო მარაგით და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით. ჭიათურის საბადოს ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 1879 წელს დაიწყო. 1990 წლამდე მოპოვებული იქნა 203 მლნ. ტონა ნედლი მადანი და მოხდა 108 მლნ. ტონა სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია. 1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა. “ჭიათურმანგანუმის” პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს “ჭიათურმანგანუმი” აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გამარჯვა ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედმა“, რომელიც მანამდე ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელი გახდა.

გარიგების გაფორმებისას, „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საკმაოდ ცნობილი ბრიტანული კომპანიის სტემკორის შვილობილი კომპანია იყო. 2006 წლის ბოლოსთვის სტემკორმა ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს“ მიყიდა. ეს ჯგუფი საქართველოში „ტაო-პრივატ ბანკის“ მფობელი იყო 2007-2014 წლებში. უკრაინული პრესის თანახმად, [ჯგუფი „პრივატი“](#) ერთ-ერთი ყველაზე დახურული და არაგამჭვირვალე კომპანიაა, მისი დამფუძნებლები [იგორ კოლომონსკი](#) და [გენადი ბოგოლუბოვი](#) უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულში შედიან.

2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანუმი“ (ყოფილი ჭიათურმანგანუმი და ზესტაფონის ფერო) და „ჯორჯიან მანგანუმის“ საკუთრებაში არსებული ვარციხეპესების კასკადი თავისი ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys¹-ზე გადააფორმა; თუმცა, ქართულ საზოგადოებას ეს ფაქტი გააცნეს, როგორც საწარმოებში ახალი „მენეჯმენტის მოსვლა“. შესაბამისად, „ახალმა მენეჯმენტმა“ ყველაფერი ცუდი „ძველ მენეჯმენტს“ გადააბრალა და პრობლემების მოგვარების პირობა დადო. სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული სტატიების თანახმად, 2016 წლის ბოლოსთვის უნდა ამოქმედებულიყო ახალი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი; თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. 2017 წლის მაისიდან ჯორჯიან მანგანუმის ქონებას საწარმოს ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად მართვის უფლებით სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალური მმართველი განაგებს.

2015 წლიდან „მნგანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე მემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილს. ესენია:

- (1) არემჯი
- (2) ჯორჯიან მანგანუმი
- (3) საქნახშირი; და
- (4) ჰაიდელბერგცემენტი.

ეს დოკუმენტი ჯორჯიან მანგანუმის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

¹ [The dangers of doing business abroad](#), BY KEN STIER Special to the Miami Herald, September 13, 2017; [Who controls oligarch Ihor Kolomoisky's offshore assets?](#) Kyiv Post, May 16, 2019

აშშ-ში რეგისტრირებული Georgia American Alloys Inc. საქართველოში ქონებას ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოში (ოფშორში) რეგისტრირებული იმავე სახელწოდების კომპანიის Georgian American Alloys Sàrl-ის მეშვეობით ფლობს. საქართველოს სამენარშეო რეესტრის თანხმად, ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ არის შპს ჯორჯიან მანგანუმის (230085797), შპს ვარციხე 2005-ის (221297870) და შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტის (404414861) მფლობელი.

თავის მხრივ, შპს ჯორჯიან მანგანუმი 19 შპს-ს 100% წილის მფლობელია. საგულისხმოა, რომ ამ კომპანიებს შორის 13 - შპს ჯმ 29, შპს ჯმ-კოროხნალი-დევიდეები, შპს გამამდიდრებელი კომპლექსი, შპს ჯმ-ტექნიკასერვისი, შპს ჯითიეს - ჯორჯია ტერმინალ სერვისის², შპს ჯმ-კონსტრაქშენი, შპს ჯმ-ვაკეტყე, შპს ჯმ-ცდფ, შპს ჯმ-შუქრუთი, შპს ჯმ-ითხვისი, შპს ჯმ-პეროფი, შპს ჯმ-მაინინგ და შპს ჯმ-ცენტრალური ფაბრიკა - სპეციალური მართვის რეჟიმის მოქმედების პერიოდში დაარსდა.

სპეციალური მართვის რეჟიმი

2017 წლის მაისში შპს „ჯორჯიან მანგანუმში“ სპეციალური მმართველი³ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შუამდგომლობითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაუშეტეს 3 წლის ვადით დაინიშნა. სასამართლოს [გადაწყვეტილებით](#), სპეციალური მმართველი დაინიშნა **სალიცენზიო და სანებართვო პირობების** დროული და თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპეციალური მმართველი ყოველთვიურად წარუდგენს გარემოსა და დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესრულების ანგარიშს (შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით); ასევე, ანგარიში დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სასამართლოს.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან ერთი თვის შემდეგ, 2017 წლის 14 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ მაია ბითაძემ, კომპანიის „Georgian American Alloys“ აქციონერმა და წარმომადგენელმა ურიელ ლაბირმა და „ჯორჯიან მანგანუმის“ სპეციალურმა მმართველმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარეს. პრესკონფერენციაზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროსა და კომპანიას შორის შედგა შეთანხმება. კომპანიის წარმომადგენლებმა გაიზიარეს გარემოებები, რომელთა საფუძველზე „ჯორჯიან მანგანუმში“ სპეციალური მმართველი დაინიშნა და მოიწონეს ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებისათვის სპეციალური მმართველის მიერ მომზადებული გეგმა და ხელმოწერით დადასტურეს გეგმის შესრულების ვალდებულება.

შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს მიმდინარე საქმიანობის შესასრულებელი ღონისძიებების საშუალო ვადიანი გეგმა

N	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების მონიტორინგი	შესრულების ვადები
1	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახურის შექმნა, რომელიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შეაფასებს სანარშოში არსებულ მდგომარეობას	ეკოლოგიის და რეკულტივაციის სამსახურის მუშაობის დებულება, გარემოს დაცვის სამსახურის ფუნქციებისა და სტრუქტურის მიხედვით.	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“		30.06.2017

² კომპანიის დირექტორი გიორგი ჭელიძეა, რომელიც ამავდროულად საქნახშირის ახალი მფლობელის - შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდიგ კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელია.

³ [ჯორჯიან მანგანუმის სპეციალური მმართველი - სანარშო გაცანსალების, თუ წილების გადანაწილების მორიგი მცდელობა?](#) მწვანე ალტერნატივა, ივლისი 2018

N	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	გარემოზე უარყოფითი გემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების მონიტორინგი	შესრულების ვადები
	და გაუნეგს შესაბამის მონიტორინგს				
2	გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება	ხელშეკრულება	მონწილეული სპეციალისტები	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	01.12.2017-მდე
3	სანარმოს ლაბორატორიის ექსპლუატაციაში გაშვება	- ლაბორატორიის ინვენტარით დაკომპლექტება. - ლაბორატორიაში განთავსებული ინვენტარის, აპარატურის და ხელსაწყოების დაკალიბრება. - ლაბორატორიის სათანადო შტატებით დაკომპლექტება	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	30.06.2017-მდე
4	სანარმოო ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება	- საყოფაცხოვრებო, სანარმოო და სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება	ხელშეკრულებით	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	15.07.2017-დან
5	გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება	- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მონიტორინგი. მტვრის დონეების შემცირების მიზნით გზების მორწყვა-დანამკვა დასახლებულ ტერიტორიებზე, სატვირთო ავტომანქანების ძარების გადახურვა და სხვა. - ხმაურის, ვიბრაციისა და სხვა ფიზიკური გემოქმედების ფაქტორების მონიტორინგი. დასახლებულ პუნქტებთან ხმაურის გავრცელების დონეების გაზომვა და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. - სანარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში, მათი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებამდე მანგანუმის შემცველობის მონიტორინგის წარმოება და ზ.დ.ჩ - ს ნორმების დაცვა. - საყოფაცხოვრებო, სანარმოო და სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი. - ნიადაგის დაბინძურებისგან დაცვა (ნებისმიერი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სანვაკისა და ზეთების დაღვრის შემცირებას).	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	ეკოლოგიური ლაბორატორიის-ის გაშვებიდან 01.08.2017-დან სისტემატურად სისტემატურად სისტემატურად საჭიროების შემთხვევაში
6	ადგილობრივი გზების საფარი	ადგილობრივი გზიდან კომპანიის კარიერებამდე და მალარობამდე მისასვლელი შიდა საექსპლუატაციო გზების	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	საჭიროების შემთხვევაში

N	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების მონიტორინგი	შესრულების ვადები
		საფარის მოხრეშვა და მათზე სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება			
7	მდ. ყვირილას დაბინძურებისგან დაცვა	სანაყაროდან, მდ. ყვირილაში დასაწყობებული შუალედური პროდუქტის მოხვედრის აღკვეთის მიზნით სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების და მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესრულება	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	01.01.2018წ-მდე
8	ახალ გამამდიდრებელ სანარმოში წარმოქმნილი შლამების განთავსება-დასაწყობება	შლამებისა და მყარი ნარჩენების საბოლოო განსათავსებლად რამდენიმე ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევა და შეთანხმება	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	მშენებლობის დაწყებამდე
9	ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება	სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	31.12.2018-მდე
10	ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადება	მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქ. ზესტაფონში, ფერო-შენადნობთა ქარხნის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის მომზადება.	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	01.06.2019-მდე
11	ა.კ.წერეთლის სახ. მაღაროზე ე.წ. „საშვერდნოს“ კარიერის გაუქმება (დახურვა და სასწრაფო რეკულტივაცია.)	- კარიერზე სამუშაოების შეჩერება; - რეკულტივაციის პროექტის შედგენა; - შეთანხმება სამინისტროსთან - სარეკულტივაციო სამუშაოების განხორციელება.	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ჭიათურის ს.გ.კ	ეკოლოგიის და რეკულტივაციის სამსახური	რეკულტივაციის პროექტის შეთანხმებიდან 6 თვე
12	წიაღით სარგებლობა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე	- სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული წიაღით სარგებლობის უბნების იდენტიფიცირება - სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მიღება - ტყეკაფების მონიშვნა და გამოყოფა - საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება	მონვეული სპეციალისტები	ეკოლოგიის და რეკულტივაციის სამსახური	2017 წლის ივლისიდან ეტაპობრივად
13	საბადოზე ღია კარიერული წესით მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიების	- სარეკულტივაციო ფართობების იდენტიფიცირება - რეკულტივაციის პროექტების შედგენა და მათი შეთანხმება საქართველოს გარემოსა და	შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ჭიათურის ს.გ.კ	ეკოლოგიის და რეკულტივაციის სამსახური	2017 წლის ივლისიდან ეტაპობრივად რეკულტივაციის პროექტების შესაბამისად

N	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	გარემოზე უარყოფითი გემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების მონიტორინგი	შესრულების ვადები
	ეტაპობრივი რეკულტივაცია	ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან			
14	ცხელი ხაზი	- შეტყობინება ეკოლოგიურ დარღვევებზე - მოსახლეობის პრეტენზიებზე რეაგირება	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ჭიათურის ს.გ.კ	ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახური	01.07.2017-დან

საგულისხმოა, რომ გეგმა საზოგადოებას გააცნეს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილი, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო მხოლოდ **სალიცენზიო და სანებართვო პირობების** დროულ და თანმიმდევრულ შესრულებას ითხოვდა. წარმოდგენილი გეგმა კი, არაერთ ბუნდოვან ვალდებულებას მოიცავდა. მაგალითად, გაუგებარი იყო რას გულისხმობდა მე-2 ვალდებულება „გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება“, რომელიც მაქსიმუმ 6 თვეში უნდა ჩატარებულიყო და რით განსხვავდებოდა ეს ვალდებულება მე-10 ვალდებულებით გათვალისწინებული „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადების“ ვალდებულებისგან, რომელიც რატომღაც მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 2019 წლის ივნისამდე უნდა მომზადებულიყო.

მიუხედავად ამისა, სწორედ ამ გეგმის საფუძველზე მიმდინარეობს ანგარიშგება უკვე 2 წელიწადზე მეტია როგორც სამინისტროს, ისე სასამართლოს წინაშე. თუმცა, ანგარიშებში პერიოდულად ისეთი საკითხებიც ხვდება ისეთი, რომელიც არც სალიცენზიო და სანებართვო პირობებით არის გათვალისწინებული და არც საშუალოვადიანი გეგმით, მაგალითად: ჭიათურასა და ზესტაფონში საახალწლო ღონისძიებების მოწყობისათვის 15 მსახიობის ჩაყვანა, შშმ-ბავშვთა სკოლა ინტერნატის საახალწლოდ მორთვა და საჩუქრების დარიგება და ა.შ.

ანგარიშებს ხშირად არ ახლავს პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. რიგ შემთხვევებში ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ არის დაფიქსირებული და შესაბამისად, მიზეზი არ არის ახსნილი. მაგალითად, მე-8 ვალდებულება „ახალ გამამდიდრებელ სანარმოში წარმოქმნილი შლამების განთავსება-დასაწყობება“ უნდა შესრულებულიყო ახალი სანარმოს მშენებლობის დაწყებამდე, თუმცა მშენებლობის დასრულების შემდეგაც არ არის შესრულებული და ეს ფაქტი არც სამინისტროსთვის და არც სასამართლოსთვის არ გამხდარა საყურადღებო. მე-2 ვალდებულება „გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება“, რომელიც გეგმის თანახმად მოწვეულ სპეციალისტებს უნდა შეესრულებინათ, 5 თვის თავზე ტრანსფორმირდა **ჭიათურის რაიონის ეკოლოგიურ აუდიტად**, რომელსაც სანარმოს თანამშრომლები ატარებდნენ. შესაბამისად, სპეციალური მმართველის 2017 წლის ნოემბრის ანგარიშში გაჩნდა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „დაიწყო ჭიათურის რაიონის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება - ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ეკოლოგიური სამსახურის მიერ დაიწყო ჭიათურის რაიონში არსებული ობიექტების აუდიტის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ყველა ობიექტების შემოწმება. გამოვლინდება არსებული პრობლემები და დაისახება მათი გადაჭრის გზები. აუდიტის დასრულების შემდგომ შედგება შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, რომლის სრულფასოვანი შესრულების პროცესს მონიტორინგს გაუწევს ხსენებული სამსახური“.

უკვე შემდეგი თვის ანგარიშში (უნდა ვივარაუდოთ, რომ გეგმით დადგენილი უკანასკნელი ვადის გათვალისწინებით), სპეციალური მმართველი ამტკიცებდა, რომ აუდიტი დასრულდა. არც სამინისტროსთვის და არც სასამართლოსთვის არ გახდა საჭევო ერთ თვეში ამ მასშტაბის სამუშაოს განევის ფაქტი და რაც მთავრია, არც მომზადებული აუდიტის ანგარიშის წარდგენა მოუთხოვიათ.

ახალი სანარმო

2009 წლამდე ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი სანარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი ნებართვის გარეშე ფუნქციონირებდა. 2009 წელს გაცემული [ნებართვის პირობები](#) პირველად 2012 წელს შემოწმდა და კომპანია ნებართვის პირობების დარღვევისათვის 5000 ლარით დაჯარიმდა. რამდენჯერმე უშედეგო დაჯარიმების შემდეგ, 2014 წლის სექტემბერში სამინისტრომ კომპანიას განმეორებით განუსაზღვრა გონივრული ვადები და დაუდგინდა შესაბამისი ვალდებულებები. კერძოდ, კომპანიას:

- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში განეხორციელებინა გამამდიდრებელი ფაბრიკების სანარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდი ნაგებობის სალექარის მონყობა;
- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში სრულად მოენესრიგებინა გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა შლამშემსქელებლის გამართულად მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
- 3 თვის ვადაში დაესრულებინა სანარმოს ლაბორატორიის მონყობის სამუშაოები და უზრუნველყო მისი მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში დაესრულებინა სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მონყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგება;
- დაუყოვნებლივ დაეწყო ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის მონყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

ზემოთ მოცემული ვადები, კომპანიის თხოვნით, სამინისტრომ არაერთხელ გადაავადა და კომპანიაც არაერთხელ დააჯარიმა, მაგრამ ვალდებულებების შესრულება ვერ აიძულა. საბოლოოდ, 2016 წლის ივლისში „ჯორჯიან მანგანუმს“ მიენიჭა სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება 2017 წლის 31 დეკემბრამდე ზემოთ მოცემული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის პირობით.

საჯარო განხილვისთვის ჭიათურაში მანგანუმის მადნის ახალი გამამდიდრებელი სანარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „ჯორჯიან მანგანუმმა“ ჯერ კიდევ 2014 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა. ახალი პროექტის მთავარი ნაკლოვანება წარმოების ნარჩენების - შლამის განთავსების მოუგვარებელი პრობლემა იყო. კომპანია ახალი სანარმოსათვის ნარჩენების განთავსების ორ ალტერნატივას განიხილავდა: 1. ღურღუმელას შლამსაცავს - რომელიც უკვე დიდი ხანია მწყობრიდან არის გამოსული 2. დალახაურის შლამსაცავი - რომლის მშენებლობის წინააღმდეგი იყო ადგილობრივი გამგეობა და სოფელ ითხვისის და სოფელ შუქრუთის მოსახლეობა - ძირითადად, მავნე ზემოქმედების საფრთხისა და სოფლებთან სიახლოვის გამო.

2017 წლის 10 იანვარს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ახალი სანარმოს მშენებლობისათვის გასცა დადებითი [ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა](#). 2017 წლის 23 მარტს სამინისტრომ კომპანიას 2 კვირის ვადაში შლამებისა და მყარი ნარჩენების განთავსებისათვის ტერიტორიის შესარჩევად ალტერნატივების წარდგენა მოსთხოვა, რაც კომპანიამ არ შეასრულა.

საბოლოოდ ეს ვალდებულება, როგორც ნებართვის შეუსრულებელი პირობა სპეციალური მმართველის საშუალოვადიან გეგმაშიც მოხვდა. გეგმის თანახმად, შლამებისა და მყარი ნარჩენების საბოლოო განსათავსებლად რამდენიმე ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევა და შეთანხმება კომპანიას მშენებლობის დაწყებამდე უნდა უზრუნველყო.

ა.წ. ნოემბერში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოვითხოვეთ დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

1. საწარმოს მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ წარდგენილი განცხადების ასლი;
2. მშენებლობის დაწყებამდე კომპანიის მიერ სამინისტროში წარდგენილი ნარჩენების განთავსებისათვის ადგილის შერჩევის შესახებ განცხადება და ამ განცხადების სამინისტროს მიერ განხილვის ამსახველი დოკუმენტაციის ასლი;
3. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე, არსებული საწარმოების დემონტაჟისა და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის სამინისტროში წარდგენილი პროექტი და სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტის განხილვის ამსახველი დოკუმენტაციის ასლი.

როგორც სამინისტროს პასუხიდან შევითქვეთ, არცერთი პირობა შესრულებული არ არის. სამინისტროს პასუხიდანვე უნდა ვივარაუდოთ, რომ პირობების შესრულებლობის გამო კომპანიის მიმართ ზომები არ ყოფილა მიღებული. პირობების შესრულებლობა და შესაბამისად, სპეციალური მმართველის მიერ ვალდებულებების შესრულებლობა არც სასამართლოსთვის გამხდარა რეაგირების საგანი.

ბესტაფონის ფერო

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გარდა, ჯორჯიან მანგანუმის საწარმოო ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ქარხანამ ოპერირება გაცილებით ადრე (1933) დაიწყო, ვიდრე „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდებოდა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის თანახმად, საწარმოს ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად უნდა მოეპოვებინა. თუმცა, დღეის მდგომარეობით საწარმოს ნებართვა არ გააჩნია. კანონის ურჩი და უხეში დარღვევის გამო საწარმო არაერთხელ დაჯარიმდა. შემოწმების მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროსაც გაეგზავნა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო.

გაურკვეველი მიზეზის გამო, ბესტაფონის ფეროს ოპერირებისათვის კანონის მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მოპოვების ვალდებულება საერთოდ არ მოხვდა სპეციალური მმართველის გეგმაში. გეგმის თანახმად, სპეციალური მმართველი ვალდებული იყო 2019 წლის 1 ივნისამდე⁴ (და არა დაუყოვნებლივ) უზრუნველყო მხოლოდ ფეროშენადნობთა ქარხნის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადება.

შესაბამისად, სპეციალურმა მმართველმა მხოლოდ 2019 წლის 30 მაისს წარუდგინა ბესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და თავის ყოველთვიურ ანგარიშშიც მიუთითა ვალდებულების დროულად შესრულების თაობაზე. რაღა თქმა უნდა აქაც, არც სამინისტროს და არც სასამართლოს არ გასჩენია ზედმეტი კითხვები იმასთან დაკავშირებით, რეალურად როდის მოექცევა ბესტაფონის ქარხნის ოპერირება კანონის ჩარჩოებში და როდის ექნება საწარმოს საქმიანობის კანონიერად გაგრძელების უფლება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ სიტუაციაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქმედებები. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, სამინისტრო მიმდინარე

⁴ საგულისხმოა, 2017 წლის 1 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, საწარმოებს რომელთა საქმიანობა 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არ ჰქონდათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, 2019 წლის 1 ივნისამდე უნდა მიემართათ სამინისტროსთვის უფლების მოსაპოვებლად.

საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ატარებს ექსპერტიზას, რომლისთვისაც მინისტრის ბრძანებით იქმნება საექსპერტო კომისია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საჯარო განხილვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, განცხადების რეგისტრაციიდან **არაუადრეს 50-ე კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მე-60 კალენდარული დღისა** სამინისტრო იღებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. სამინისტროს მტკიცებით, სამინისტროში ახლაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. როგორც სამინისტროს მიერ მოწოდებული წარმოების მასალებიდან გაირკვა სამინისტრომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად გამოაქვეყნა კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, საჯარო განხილვასაც გაუკეთა ორგანიზება, მაგრამ ჯერაც ვერ მიიღო გადაწყვეტილება. საგულისხმოა, რომ წარმოების მასალებში არ აღმოჩნდა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე, თუმცა სამინისტრო მაინც თვლის რომ წარმოება გრძელდება. ასევე, გადმოცემულ დოკუმენტაციაში არ მოიპოვება 15 ივლისის შემდგომ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ამსახველი ერთი ფურცელიც კი; და ბოლოს, რაც ყველაზე საგანგაშოა და სამინისტროს კომპანიასთან შეთანხმებულ მოქმედებაზე მიუთითებს - სამინისტროში კომისიაც კი არ შექმნილა დოკუმენტაციის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის.

დარღვევებზე საჯარო უწყებების რეაგირება

2019 წლის ოქტომბერში მწვანე ალტერნატივას თანამშრომლებმა ქ. ჭიათურასა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში (მერევი, მღვიმევი, ზედა რგანი, რგანი და დარკვეთი) საველე გასვლისას⁵ ნიალით სარგებლობისას კანონდარღვევის არაერთი ფაქტი აღმოვაჩინეთ, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ნიალის ეროვნულ სააგენტოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოვითხოვეთ მათი კომპეტენციის ფარგლებში საკითხზე რეაგირება.

ჩვენს მიმართვაში ვუთითებდით, რომ ვერცერთ სოფელში ვერ ვნახეთ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოხსნილი და დასაწყობებული მიწის ნაყოფიერი ფენა; დავაფიქსირეთ ნიალის მოპოვების კარიერების უსაფრთხოების დაუცველობის არაერთი საგანგაშო შემთხვევა - როდესაც ადამიანებს (მათ შორის ბავშვებს) და მათ საკუთრებაში არსებულ საქონელს თავისუფლად შეუძლია კარიერზე გადაადგილება; მეტიც, ხშირ შემთხვევაში კარიერი მოსახლეების ეზოებშია (ადამიანების იქ ცხოვრების პირობებში) შეჭრილი; ასევე, დავაფიქსირეთ ტყით დაფარული ტერიტორიის ხე-მცენარეებიანად მოჭრის შემთხვევები.

მიმართვიდან ერთი თვის შემდეგ მივიღეთ ნიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის მაია ბავრაშვილის წერილი, რომლითაც ის დაგვპირდა, რომ თუკი სააგენტო როდესმე შეამოწმებდა ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობას, შედეგებს დაუყოვნებლივ გვაცნობებდნენ.

⁵ საველე გასვლის ანგარიში, მწვანე ალტერნატივა, ოქტომბერი 2019. ანგარიში აღწერილია ქ. ჭიათურასა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში (მერევი, მღვიმევი, ზედა რგანი, რგანი და დარკვეთი) მანგანუმის მოპოვების შედეგად გარემოსა და ადამიანებისათვის მიყენებული ზიანი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირების მიზნით, სახელმწიფოს მიერ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, კერძოდ: შპს "ჯორჯიან მანგანუმი"-ს მხრიდან სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევის გამო, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 10 მაისის შუამდგომლობის საფუძველზე, 2017 წლის 11 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით (საქმე #3/3381-17), შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ დადგინდა სპეციალური მართვის რეჟიმი და 3 წლის ვადით დაინიშნა სპეციალური მმართველი, რომელმაც უნდა უზრუნველყო სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულება.

ამასთან, შემუშავდა შესასრულებელ ღონისძიებათა დროში განერილი გეგმა, რომელიც დამტკიცდა სასამართლოს მიერ. აღნიშნული გეგმის ფარგლებში, შპს "ჯორჯიან მანგანუმი"-ს სპეციალური მმართველი განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიურ ანგარიშებს დასამტკიცებლად წარადგენს სასამართლოში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის დათვალიერება/შესწავლის შემთხვევაში, შედეგები გაცნობებთ დაუყოვნებლივ.

წიაღის ეროვნული სააგენტოსაგან განსხვავებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საერთოდ არ ჩათვალა საჭირო მიმართვაზე პასუხი გაეცა. მხოლოდ საჩივარზე რეაგირების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ სამინისტროდან მივიღეთ შემდეგი განმარტება:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 5 დეკემბერს შემოსული თქვენი #04/09/03-69 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 2017 წლის 15 დეკემბრიდან აღარ არის უფლებამოსილი განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (წიაღით სარგებლობის) ლიცენზიების პირობების სახელმწიფო კონტროლი. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (წიაღით სარგებლობის) ლიცენზიების პირობების შესრულებაზე მაკონტროლებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, კომპანიაზე „ჯორჯიან მანგანუმი“ ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №100330 ლიცენზიის პირობების კონტროლი, მათ შორის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების კონტროლი არ წარმოადგენს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციას.

ამასთან, 2019 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილია მანგანუმის უკანონო მოპოვებისა და ნიადაგის დეგრადაცია/გაუფარგისების 9 სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან, ოთხი პირის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ხუთ ფაქტთან დაკავშირებით მასალები შესაბამისი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილია დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში.

საგულისხმოა, რომ საჩივრით ჩვენ არ ვითხოვდით ჯორჯიან მანგანუმის ლიცენზიის პირობების კონტროლს, ჩვენ ვითხოვდით სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების პრაქტიკის შესწავლას და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას - რაც, როგორც სამინისტროს წერილიდანვე

ირკვევა, არაერთხელ განუხორცილებია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს 2019 წლის განმავლობაში.

წიალის ეროვნული სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჭიათურასა და საჩხერის რაიონებში მანგანუმის მოპოვების სრულიად დესტრუქციული პრაქტიკის შემოწმებისაგან თავის არიდებისა და ჯორჯიან მანგანუმისათვის წიაღით სარგებლობის უკონტროლოდ და დაუბრკოლებლად მოპოვებისათვის კომფორტული პირობების შექმნის ერთადერთი მიზები შეიძლება იყოს მაღალი თანამდებობის პირების არაფორმალური მითითება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აღწერილი მდგომარეობა **ელიტური კორუფციის** თვალსაჩინო გამოვლინებაა.

რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

ჯორჯიან მანგანუმს, რომელიც ყოფილ ჭიათურმანგანუმს და გესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას აერთიანებს და არის შპს „ვარციხე 2005“-ის მფლობელი, აქვს ვებ-გვერდი <https://gm.ge/>. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ და კომპანიების მმართველი გუნდის წევრების - 'ტოპ მენეჯმენტის' შესახებ, როგორც ეს ვებ-გვერდზეა მითითებული.

ვებ-გვერდზე არ არის ინფორმაცია საწარმოში სპეციალური მართვის რეჟიმის, სპეციალური მართვის რეჟიმით გათვალისწინებული გეგმის და მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ. თუმცა, არის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ინფორმაცია სპეციალური მმართველის ბიოგრაფიის შესახებ. განსაკუთრებით ორიგინალურად არის წარმოდგენილი სპეციალური მმართველის ბიოგრაფიის ის ნაწილი, როდესაც ნიკოლოზ ჩიქოვანი ფეროში ფინანსურ დარღვევებთან და წილების განაწილებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალის აქტიური მონაწილე იყო. ბიოგრაფიაში აღნიშულია: „2003-2007 წწ. ნ.ჩიქოვანი იყო გესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი, აქტიურად იყო ჩაბმული გესტაფონის ცხოვრების ფერხულში. გახლავთ უამრავი კულტურული, სოციალური, ეკოლოგიური, ბიზნეს და საქველმოქმედო პროექტის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი. პარალელურად ხელს უწყობდა და უწყობს გესტაფონის განვითარებას, მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას“.


ჯორჯიან მანგანუმის საკუთრებაში არსებული საწარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია და/ან თავად დოკუმენტები არ არის ხელმისაწვდომი კომპანიის ვებ-გვერდზე. ასევე, არ არის ხელმისაწვდომი ჯორჯიან მანგანუმის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე გავლენის, ამ გავლენის შემსუბუქებისათვის გათვალისწინებული ქმედებების და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის რჩევები ან მითითებები მოსახლეობისთვის კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საწარმოების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქე პრობლემური საკითხის მოგვარებისათვის, ვის უნდა მიმართოს საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალების შემთხვევაში. **კომპანიის ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ე.წ. „ცხელი ხაზის“ ნომერი**, რომელიც სპეციალური მმართველის პირველივე ანგარიშის თანახმად, ჯერ კიდევ 2017 წლის ივლისში შექმნა და „საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს ეკოლოგიური დარღვევების არსებობის შემთხვევაში აცნობოს ხსენებულის თაობაზე ეკოლოგიურ სამსახურს, რომელიც თავის მხრივ მოახდენს რეაგირებას დარღვევაზე“.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

თბილისი
სამხრეთ კავკასია

დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.



ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2019



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG